

მაყურებლის სიმჰათიები...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 11 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ზარია" (ვოროშილოვგრადი) 3:0 (1:0).

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, ჩივაძე, დარასელია (ჭილაია), ქორიძე, ჩელებაძე (ესებუა), ყიფიანი, წერეთელი.

"ზარია": ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, აბრამოვი, რაბოჩი, უურავლიოვი (ბელოუსოვი), კუბნეცოვი, ვ. მალი, ანდრეევი, იგნატენკო, ელისევი (სტულჩინი).

მსაჯი: ვ. სმირნოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები – 1:0.

როცა თბილისელი ფეხბურთელები გამოვიდნენ მინდორზე, მრავალრიცხოვანი მაყურებელი მათ ტაშით შეეგება. და ეს წინა ტურში "კარპატისტან" წაგებული მატჩის შემდეგ!

მე, როგორც ძველმა ფეხბურთელმა, კარგად ვიცი, თუ რა მნიშვნელობა აქვს გუნდისთვის ტრიბუნების სიმჰათიას, როგორ იმედიანად მოქმედებს მოთამაშეზე გულშემატკივრის მხარდაჭერა. მართალია, ლვოვში განცდილი მარცხი დიდად საწყენი იყო ყველასთვის, მაგრამ მაყურებელმა მხედველობაში მიიღო ისიც, რომ დინამოელებს სისტემატურად აკლიათ ტრავმირებული წამყვანი ფეხბურთელები, ისიც, რომ ყველა თამაშის მოგება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამიტომ პატივისცემას არ აკლებს თასის მფლობელს და, ვფიქრობ, არც დინამოელები რჩებიან ვალში.

ჩვენი გუნდის შემადგენლობას ამ მატჩში დაუბრუნდნენ ჭელიძე და დარასელია, რამაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გააძლიერა დაცვისა და ნახევარდაცვის რგოლების თამაში, მაგრამ კვლავ მძიმედ იგრძნობა მ. მაჩაიძის, გუცაევისა და ხინჩაგაშვილის არყოფნა. ჩემი აზრით, განსაკუთრებით სჭირდება კოლექტივს მ. მაჩაიძე. ერთია ის, რომ მ. მაჩაიძე, მაორგანიზებელი, წარმმართველი ძალაა შუა მინდორში და მისი ტოლფასოვანი შემსვლელი ჩვენ არ გვყავს, ხოლო მეორე ის, რომ როცა ეს ფეხბურთელი არაა მინდორზე, ორმაგი სამუშაო აწვევა ყიფიანს, რომელიც იძულებული ხდება ხშირად მოსცილდეს შეტევის ხაზს და დამატებითი ფუნქციები აიღოს თავის თავზე. ასეთი გაორმაგებული სამუშაო ძნელი შესასრულებელი საქმეა.

იმ ამბავმა, რომ დინამოელებს ამ დღეს აუტსაიდერი ჰყავდათ მეტოქედ და გამარჯვებაც დიდი ანგარიშით იქნა მოპოვებული, არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს გუნდს იოლი საფეხბურთო "გასეირნება" ჰქონდა მწვანე მიდორზე. მართალია, "ზარია" აუტსაიდერია, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რა სახითაა აუტსაიდერთან თამაში, მით უმეტეს, როცა მას ჯერ კიდევ აქვს შენარჩუნებული მდგომარეობის გამოსწორების შანსები და საამისოდ არ იშურებს არც ძალას, არც მონდომებას, არც ენერგიას. ვოროშილოვგრადელებმა, მართლაც, ყველაფერი გააკეთეს, რათა თუნდაც ქულა ეხსნათ, იბრძოლეს ნამდვილი თავგანწირვით და თუ ვერ შეძლეს დასახული ამოცანის შესრულება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თამაშის კლასით, საერთო სიძლიერით ისინი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ მეტოქეებს, ძალა კი, როგორც მოგეხსენებათ, აღმართს ხნავს.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ თბილისელებმა მართო მაღალი კლასის შემწეობით მოუგეს მონინაალმდეგეს. კლასი და ოსტატობა მხოლოდ მაშინ იქცევა

რეალურ ფაქტორებად, როცა მას თან ახლავს სრული მობილიზება, ენერგია, პრომისუნარიანობა, მონდომება. ყველა ეს კომპონენტი მასპინძელთა თამაშში ამ დღეს უხვად ჩანდა. მატჩის არც ერთ პერიოდში, არც ერთ ფაზაში არ ყოფილა საშიშროება იმისა, რომ შედეგი თბილისელთა სასარგებლოდ არ იქნებოდა. პირველივე წუთიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ გაიმარჯვებდა "დინამო". ჩვენმა გუნდმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა მეტოქეს. იგი მოქმედებდა კოლექტიურად, შეწყობილად, ენერგიით, ყოველი მოთამაშე კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის საქმეს. რასაკვირველია, "ზარისაც" ჰქონდა კონტრშეტევები, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მის კარში პირველი გოლი გავიდა და გუნდს დაცვითი ტაქტიკა ხელს აღარ აძლევდა, მაგრამ საქმე, როგორც წესი, მეკარე გოვიამდე არ მიდიოდა, მცველები საჭარბო მოედნამდე ართმევდნენ თავს სიძნელეებს.

პირველ წარმატებას დინამოელებმა მიაღწიეს 25-ე წუთზე. შესანიშნავად გათამაშებული კომბინაცია ჩელეებაძეს, ყიფიანსა და წერეთელს შორის, ამ უკანასკნელმა დაამთავრა უძლიერესი დარტყმით, რომლის წინაშე მეკარეები, ჩვეულებრივ, უძლურნი არიან ხოლმე – 1:0.

შემდეგ, მე-60 წუთზე, ყიფიანმა მიიღო გადაცემა მარცხენა ფლანგიდან და ზუსტი, ოსტატური დარტყმით გაგზავნა ბურთი ბადეში. 85-ე წუთზე კი მანვე კარგად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა, ბურთი მოხვდა მალიგინს და ჩაეშვა კარში – 3:0.

ჩვენს სტადიონებზე ბოლო ხანებში წესად დამკვიდრდა საუკეთესო მოთამაშეთა აღნიშვნა სპეციალური პრიზებით. იგი ამჯერად დაწესებული იყო თბილისის 26 კომისრის კომკავშირის რაიკომის მიერ და დამსახურებულად გადაეცა ყიფიანს, მე კი ამ ფეხბურთელის გარდა გამოვყოფდი, აგრეთვე, წერეთელს, ჭელიძეს და ებრალიძეს.

**ი. დათუნაშვილი, სპორტის ოსტატი.
"ლელო", 13 ოქტომბერი, 1976 წ.**